

შპს „ბარნალი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	12
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	12
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	12
8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი.....	12
9. ფინანსური შემოსავალი.....	13
10. საკურსო მოგება/(ზარალი).....	13
11. სავაჭრო მოთხოვნები	13
12. ინვესტიციები	13
13. გაცემული სესხები	13
14. მარაგად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	13
15. ფული და ფულის ექვივალენტები	14
16. კაპიტალი.....	14
17. საგადახადო ვალდებულებები	14
18. პირობითი ვალდებულებები	14
19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
20. ბალანსის შემდგომი მოვლენები	15

შპს „ბარნალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023*
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	16,303,024	8,561,759
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(14,580,810)	(7,403,387)
საერთო მოგება		1,722,214	1,158,372
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(24,170)	(3,857)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(499,032)	(60,236)
საოპერაციო ზარალი		1,199,012	1,094,279
ფინანსური შემოსავალი	9	954,825	62,744
საკუთრო მოგება/(ზარალი)	10	199,582	(55,775)
მოგება დაბეგვრამდე		2,353,419	1,101,248
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,353,419	1,101,248

*2023 წლის 17 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 30 სექტემბერი, 2025:

ზაზა ქოჩიაშვილი
დირექტორი

შპს „ბარნალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი მოთხოვნები	11	308,231	-
ინვესტიციები	12	2,295,134	142,900
გაცემული სესხები	13	836,004	4,615,564
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,439,369	4,758,464
მიმდინარე აქტივები			
მარაგად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	14	29,569,004	44,149,814
სავაჭრო მოთხოვნები	11	2,983,466	363,064
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	215,590	1,698,458
სულ მიმდინარე აქტივები		32,768,060	46,211,336
სულ აქტივები		36,207,429	50,969,800
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	16	36,193,681	50,969,108
სულ კაპიტალი		36,193,681	50,969,108
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	17	532	692
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		13,216	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,748	692
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		36,207,429	50,969,800

*კომპანია დაარსდა, 2023 წლის 17 ოქტომბერს.

შპს „ბარნალი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
	-	-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	1,101,248	1,101,248
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
კონტრიბუცია კაპიტალში (შენიშვნა 16)	-	51,553,201	51,553,201
არასაბაზრო პროცენტით სესხის გაცემა (შენიშვნა 16)	-	(918,157)	(918,157)
გაცემული დივიდენდი	-	(767,184)	(767,184)
31 დეკემბერი 2023*	-	50,969,108	50,969,108
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	2,353,419	2,353,419
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
არასაბაზრო პროცენტით სესხის გაცემა (შენიშვნა 16)	-	(186,500)	(186,500)
გაცემული დივიდენდი	-	(16,942,346)	(16,942,346)
31 დეკემბერი 2024	-	36,193,681	36,193,681

*2023 წლის 17 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

შპს „ბარნალი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგებასა და ბეგვრამდე	2,353,419	1,101,248
შესწორებები:		
საპროცენტო შემოსავალი	(954,825)	(62,744)
საკურსო მოგება/ზარალი	(199,582)	55,775
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:	1,199,012	1,094,279
ცვლილებები საქონელში	14,580,810	7,403,387
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში	(2,779,821)	(408,338)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13,216	-
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(160)	692
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები და ბეგვრამდე და პროცენტებამდე	13,013,057	8,090,020
გადახდილი პროცენტი	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	13,013,057	8,090,020
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	(2,152,234)	(142,900)
გაცემული სესხები	(2,241,463)	(5,470,619)
საინვესტიციო აქტივებებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(4,393,697)	(5,613,519)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(10,087,628)	(767,184)
საფინანსო აქტივებებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(10,087,628)	(767,184)
ნეტო (შემცირება)/ზრდა ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	(1,468,268)	1,709,317
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,698,458	-
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(14,600)	(10,859)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	215,590	1,698,458

*2023 წლის 17 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ბარნალი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2023 წლის ოქტომბერში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404700640.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქოების, კერძოდ მიწის ნაკვეთების რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მერაბ კოსტავს ქუჩა, N 45ბ.

კომპანიის მეწილეები: კომპანიის მეწილეები 2024 და 2023 წლებში წარმოდგენილი იყვნენ შემდეგნაირად:

მესაკუთრე	წილი
შპს საინვესტიციო კომპანია ალფა , 405651110	29%
შპს ტეკოპ, 405650415	29%
შპს მიკა ინვესტ გრუპი, 404698671	29%
შპს ვი დეველოპმენტი, 405651423	12%

ოთხივე კომპანიის საბოლოო მფლობელები არიან ფიზიკური პირები და მათგან არც ერთი არ ფლობს კომპანიაში 50%-ზე მეტ წილს.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მაჩასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი**სასარგებლო მომსახურების ვადა**

ელექტრო მოწყობილობები

3

ავეჯი და სხვა ინვენტარი

3

სამშენებლო ინვენტარი

3

დაცვის სისტემები

3

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი ან შექმნილი ქონება აღირიცხება, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულებაში შედის:

- მიწის თვითღირებულება;
- სამშენებლო მასალებში გადასახდელი თანხები, ქვეკონტრაქტორებზე გაწეული დანახარჯებისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების ჩათვლით;
- დაგეგმარებისა და დაპროექტების დანახარჯები, ობიექტის მომზადების ხარჯები, მშენებლობის ზედნადები ხარჯი, ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯი და სხვა შესაბამისი დანახარჯები.

მოგებაში ან ზარალში აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება გაყიდვის მომენტისთვის განისაზღვრება, როგორც გაყიდულ ქონებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯები და გაყიდული ქონების ფარდობითი ზომის მიხედვით მასზე განაწილებული არაპირდაპირი დანახარჯები.

სხვა მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იზეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

კომპანიამ 2023 წელს უსასყიდლოდ მიიღო მიწის ნაკვეთები, რომელთა ღირებულებაც შეადგენს 51,553,201 ლარს. უსასყიდლოდ მიწების მიღება განხილულია როგორც კონტრიბუცია კაპიტალში საწესდებო კაპიტალის ზრდის გარეშე.

კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებზე არასაბაზრო პროცენტით გასცა სესხები, სესხის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი გადახდების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტი ასახულია კაპიტალზე და შეადგენს 186,500 ლარს (2023: 918,157 ლარი).

ამონაგების აღიარება. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულებები ითვლება საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებებად, ამიტომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- საწარმომ მყიდველს გადასცა საქონელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- საწარმო არ ინარჩუნებს არც ისეთ მონაწილეობას, როგორც ჩვეულებრივ მესაკუთრეობას ახასიათებს, და არც ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობის სათანადო სიზუსტით შეფასება შესაძლებელია;
- შესაძლებელია, რომ საწარმომ მიიღოს გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკურ სარგებელს; და
- გარიგებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების სათანადო სიზუსტით შეფასება შესაძლებელია;

კომპანია ყიდის მიწებს არსებული ფორმით, მასზე დამატებით სამუშაოების შესრულება არ იგეგმება, ამიტომ შემოსავალი აღიარდება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას.

ინვესტიციები. ინვესტიციები საწარმოებში აღიარდება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ინვესტიციების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებულ შემოსულობასა და ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავლები დაკავშირებულია უსასყიდლოდ მიღებული მიწის ნაკვეთების რეალიზაციასთან.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული მიწის ნაკვეთების თვითღირებულებასგან.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(17,959)	-
საკონსულტაციო და სხვა მომსახურების ხარჯი	(3,305)	(1,093)
საბანკო ხარჯი	(2,373)	(2,295)
სხვა ხარჯი	(533)	(469)
სულ	(24,170)	(3,857)

8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები სრულიად დაკავშირებულია ბროკერის მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან.

შპს „ბარნალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი სრულად შედგება დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებულ საპროცენტო შემოსავალთან

10. საკურსო მოგება/(ზარალი)

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	148,812	(45,274)
გაცემული სესხები	65,370	358
ფული და ფულის ეკვივალენტები	(14,600)	(10,859)
სულ	199,582	(55,775)

11. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,983,466	363,064
გრძელვადიანი მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	308,231	-
სულ	3,291,697	363,064

კომპანიის გრძელვადიანი მოთხოვნა დაკავშირებულია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში გრძელვადიანი გადახდის პირობით გაყიდულ მიწებთან.

12. ინვესტიციები

2023 წლის 25 ოქტომბერს კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან საჩუქრად მიიღო 50%-იანი წილი შპს ბელიაშვილი პლაზაში. კომპანიამ აღნიშნული ინვესტიცია აღრიცხა ნულოვანი ღირებულებით. ინვესტიცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 142,900 ლარს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი 2,295,134 ლარს. ინვესტიციის ზრდა სრულად უკავშირდება საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში განხორციელებულ ფულად შენატანებს.

13. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	8-10%	საკრედიტო ხაზი	აშშ დოლარი	836,004	4,615,564
სულ				836,004	4,615,564

კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებზე არასაბაზრო პროცენტით გასცა სესხები, სესხის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი გადახდების დისკონტირებულ დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტი ასახულია კაპიტალზე და შეადგენს 2024 წელს 186,499 ლარს (2023: 918,157 ლარი).

14. მარაგად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

მარაგები სრულად შედგება სარეალიზაციოდ გამიზნული მიწებისგან, რომელთა ღირებულება და ფართობი შეადგენს 29,569,004 ლარსა და 63,945 კვ.მ (2023: 44,189,814 ლარი და 96,170 კვ.მ). მიწის ნაკვეთები განლაგებულია ქალაქ თბილისში, სოფელი ლისი.

მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯად შეადგენს 14,580,810 ლარს (2023: 7,403,387 ლარი)

15. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	149,381	13,549
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	66,209	1,684,909
სულ	215,590	1,698,458

16. კაპიტალი

კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში გამოაცხადა და გასცა 16,942,346 ლარის დივიდენდი (2023: 767,184 ლარი).

კომპანიამ 2023 წელს უსასყიდლოდ მიიღო მიწის ნაკვეთები, რომელთა ღირებულებაც შეადგენს 51,553,201 ლარს. უსასყიდლოდ მიწების მიღება განხილულია როგორც კონტრიბუცია კაპიტალში საწესდებო კაპიტალის ზრდის გარეშე.

კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებზე არასაბაზრო პროცენტით გასცა სესხები, სესხის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი გადახდების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტი ასახულია კაპიტალზე და შეადგენს 186,500 ლარს (2023: 918,157 ლარი)

17. საგადასახდო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახდო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახდო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახდო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახდო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახდო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახდო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახდო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	836,004	4,615,564

შპს „ბარნალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება		კავშირის სახე	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი		საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	954,825	62,744

20. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 7,691,843 ლარის ოდენობით

შპს „ბარნალი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023*
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	16,303,024	8,561,759
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(14,580,810)	(7,403,387)
საერთო მოგება		1,722,214	1,158,372
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(24,170)	(3,857)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(499,032)	(60,236)
საოპერაციო ზარალი		1,199,012	1,094,279
ფინანსური შემოსავალი	9	954,825	62,744
საკუროს მოგება/(ზარალი)	10	199,582	(55,775)
მოგება დაბეგრამდე		2,353,419	1,101,248
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,353,419	1,101,248

*2023 წლის 17 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 30 სექტემბერი, 2025:



ზაზა ქოჩიაშვილი
დირექტორი